

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დასაქმებულების ძირითადი მოთხოვნა ხელფასების 50%-ით ზრდაა. გაფიცულები აცხადებენ, რომ მათი შრომის ანაზღაურება მინიმალურია, განეულ შრომასთან შეესაბამო და ბოლო წლებში არსებული ინფლაციის მიუხედავად, დაახლოებით 10 წელია არ გაზრდილა.

დასაქმებულების ახსნა-განმარტებით, სამუშაო ადგილზე არ არის დაცული მშრომელების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი პირობები. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით გამონვეულ მკურნალობის ხარჯებს დამსაქმებელი სრულად არ ანაზღაურებს. დასაქმებულებისთვის პრობლემურია ადეკვატური სამედიცინო დაზღვევის არარსებობაც. ისინი სამედიცინო დაზღვევის მხოლოდ საბაზისო პაკეტით სარგებლობენ, რაც ფორმალურია და მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებული მუშების საჭიროებებს. ამასთან, ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, დამსაქმებელი სახიფათო მონეობილობებს არ ანაცვლებს უსაფრთხო ან ნაკლები საფრთხის შემცველი მონეობილობებით.

პრობლემურია მუშების საკვები, რომელიც ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ საკვებთან შედარებით გაცილებით დაბალი ხარისხისაა.

დასაქმებულები ვერ სარგებლობენ ანაზღაურებადი შვებულებით და საავადმყოფო ფურცლით (ბიულეტენით), დღის განმავლობაში, სრულად ვერ იყენებენ შესვენების დროს. ამასთან, მათი განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეებში მათ მიერ სამუშაოს შესრულებას დამსაქმებელი არ მიიჩნევს ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურება არ ხდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით და არც დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

მშრომელების განცხადებით, დამსაქმებელი დასაქმებულებთან აფორმებს მხოლოდ მოკლევადიან კონტრაქტებს, რომელსაც აგრძელებს ყოველთვიურად. როგორც გაფიცულები განმარტავენ, მოკლევადიან კონტრაქტებს დამსაქმებელი მათზე ზენოლის საშუალებად იყენებს.

დასაქმებულები გაზრდილ სამუშაოს მოცულობასა და დასაქმებულთა სიმცირეზე უთითებდნენ. ისინი განმარტავენ, რომ კომპანია სამუშაო ძალის შემცირების შემდგომ სამუშაოს არსებულ თანამშრომლებზე ანაწილებს და ამით კომპანიისათვის სახელფასო ხარჯს ამცირებს, რაც დასაქმებულთა სამუშაოს მოცულობის არაგონივრული ზრდის ხარჯზე ხდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დასაქმებულები საუბრობენ, რომ არასაკმარისი კადრების გამო იზრდება მათი დატვირთვა და ხშირად უწევთ ზედღებულ ღამის ცვლებში მუშაობა. მათი თქმით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ზედღებულ 8 ღამის განმავლობაში უმუშავია, რაც უარყოფითად აისახება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მშრომელებს ასევე ხშირად უწევთ ისეთი დამატებითი სამუშაოს შესრულება, რომელიც მათ პირდაპირ სახელშეკრულებო ვალდებულებას არ წარმოადგენს.

მშრომელები ხაზს უსვამენ არსებული შრომის პირობების შედეგად გამოწვეულ მათ მიძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც.

სამწუხაროდ, კანონმდებლობით მინიჭებული შრომითი უფლებების დასაცავად, ბოლო პერიოდში, საქართველოში სხვადასხვა სფეროში დასაქმებული პირებისთვის ერთადერთი შესაძლებლობა გაფიცვაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით კრიტიკულია საშიში პირობების შემცველ სამუშაოზე დასაქმებულ პირთა მდგომარეობა, რომლებსაც, პირველ რიგში, ბრძოლა საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად უწევთ.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დასაქმებულ მუშათა სპონტანური მობილიზება და გაფიცვის დანერგვა წარმოაჩენს დამსაქმებლის მხრიდან შრომის უფლების სისტემური და უხეში დარღვევის პრობლემას. თავის მხრივ, ქვეყანაში სხვადასხვა სამუშაო ადგილზე მიმდინარე საგაფიცვო პროცესები შრომის უფლების დაცვისათვის ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების მექანიზმების არაეფექტურ ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საია და EMC მოუწოდებენ მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას, პატივის სცეს დასაქმებულთა შრომით უფლებებს, ხოლო კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის, შრომის ინსპექციის დეპარტამენტს, უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის აღსრულება.